პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ხუთშაბათი
15
იანვარი
№ 12
(16442)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოფლის ყრილობისწინა დღეები

ამდენიმე დღეც და გაიხსნება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა. საქართველოს კომუნისტთა ამ დიდ ფორუმს სოფლის მშრომელები განსაკუთრებული წარმატებით ეგებებიან.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — გვალვასთან და სხვა სტიქიურ მოვლენებთან შეუნელებელი ბრძოლის წელს — სოფლის მშრომელებმა უმაგალითო გმირობა, საქმისადმი უანგარო საყვარული და მშობლიური პარტიის საქმისათვის ვდადები, ერთგულება გამოავლინეს და არათუ გადაფარეს წინა წლებში დაშვებული შეცდომებით გამოწვეული დანაკლისი, არამედ გადამეტებით შეასრულეს ხუთწლედის დავალება და 120 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს ქვეყანას.

საქართველოს კომუნისტთა ოცდამეხუთე ყრილობაზე ხელმძღვანელნი მოდიან ჩვენი მეჩაიეები. მემინდვრეები, მევენახეები, მეციტრუსეები, მეცხოველეები. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს საქართველოს სოფლის მშრომელებს ის დიდი შრომითი გამარჯვება, რაც მათ მეცხრე ხუთწლედში მოიპოვეს. ეს იყო მათი შრომის დიდი შეფასება.

იმავე მილოცვაში ვკითხულობთ: „ახლა საპირო აგვსამტკიცოთ მიდწეული, მკვიდრი საძირკველი ჩავუყაროთ წარმატებულ მუშაობას ახალი, 1976 წლის პირველი დღეებიდანვე, მეათე ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე". საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებებში სოფლის მუშაკებს, სასოფლო რაიკომებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა ხელმძღვანელებს, ხაზოგადოებრივ მეურნეობათა მეთაურებს აფრთხილებს, რომ არ დასჯერდნენ მიღწეულს, არ მიეცნენ თვითკმაყოფილებას, გულდასმით გაუკეთონ ანალიზი გასული წლების მუშაობას, შეეძლოთ თუ არა მეტის გაკეთება, შეეძლოთ თუ არა უკეთესად ემუშავნათ, მეტი დოვლათი დაეგროვებინათ, რაც ეკონომიურად უფრო გაძლიერებდა ჩვენს ქვეყანას და გაუუმჯობესებდა ხალხის კეთილდღეობას.

წლევანდელი წელი, ჩვენი პარტიის ყრილობათა წელი, რომელზეც დამტკიცდება ახალი, მეათე ხუთწლედის ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში, განსაკუთრებული ამოცანების წინაშე აყენებს საქართველოს სოფლის კომუნისტებს, თვითეულ მშრომელს.

მეათე ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 21-24 პროცენტით უნდა გადიდდეს. უნდა უზრუნველყოთ ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ნარგავების შემდგომი გაფართოება, მოსავლიანობის ამაღლება, მრავალწლიან ნარგავთა ხმეჩხრის მოსპობა. მეათე ხუთწლედის ბოლო წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება უნდა გავზარდოთ 355 ათას ტონამდე, ხოლო ციტრუსოვნების საშუალო წლიური მოსავალი გავადიდოთ დაახლოებით 1,5-ჯერ. უნდა გავაფართოოთ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და ავამაღლოთ მისი პროდუქტიულობა. უნდა განვახორციელოთ მიწების მორწყვის სამუშაოები 60 ათას ჰექტარზე და კოლხეთის დაბლობის ამოშრობა 40 ათას ჰექტარზე.

ახლა, როგორც არასდროს საქართველოს სოფლის ყველა მშრომელი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად უნდა ფიქრობდეს ამაზე, თუ ყოველდღიური ენერგიული, თავდადებული შრომით როგორ ახასხ�es თავისი კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა, რაიონი, რესპუბლიკა!

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, საზოგადოებრივ მეურნეობათა მუშაკების საკმაო ნაწილში შეინიშნება გულდამშვიდება. სამწუხაროდ, არის ამის ფაქტები, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილება შარშანდელ შესაბამის პეროდთან შედარებით ჩამორჩა. ზოგ ფერმაში პროდუქციის წარმოება შემცირდა, ჩამორჩენაა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ტექნიკის მომზადების, თესლის მომარაგებისა და კონდიციამდე აყვანის საქმეში.

„საქფრინველმრეწვის" მთელი რიგი მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც მკაცრად გაკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმზე, კვლავ ჩამორჩებიან პროდუქტების წარმოებაში. ამ მხრივ საქმე ზოგიერთ საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმაშიც ვერ არის კარგად. პირუტყვის ნორმალური გამოზამორების საქმე სათანადო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული თიანეთის რაიონის მთელი რიგ კოლმეურნეობებში, ზოგან დაცული არ არის ზოოვეტერინარული წესები, რის გამოც შემცირდა წველადობა. პირუტყვის გამოზამორებაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის პარტიის რაიონული კომიტეტი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ყოველდღიურად როდი ზრუნავენ.

გაზაფხული მალე მოვა. საგაზაფხულო თესვის აგროვადებში ჩატარება უნდა მოხვალის საწინდარი რომ არის, ეს არავისთვის ახალი არ არის. მაგრამ როგორ ფიქრობენ წალეელები საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში დამთავრებას, როცა პირველი იანვრისათვის რაიონში მხოლოდ 27 ტრაქტორი იყო შეკეთებული? შარშან შესაბამისი პეროდისათვის კი აქ 106 ტრაქტორი იყო მზადეტყობა წალკის რაიონის ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ამ ბოლო დროს მოადუნეს შრომის ტემპი, რაც საერთო საქმისათვის მეტად საზიანოა. ასევე ითქმის თელავის, დუშეთის, ვანის, საჩხერის რაიონების, აფხაზეთის ასხრ ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაზე, სადაც ერთობ შენელდა ტექნიკის რემონტის ტემპი. სამწუხაროა ისიც, რომ ამ რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობებს საკმაო მაღალკონდიციური თესლი არა აქვთ. ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელნი უნდა ვიყოთ, კომუნისტური პირდაპირობით უნდა ვიმსჯელოთ, გავაანალიზოთ მდგომარეობა და უსწრაფესად დავძლიოთ ჩამორჩენა. აი რა არის ახლა მთავარი.

ზოგიერთი რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შეფერხებებია ბალ-ვენახებისათვის მიწის მომზადებაში, სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხელმძღვანელები კი ამ საქმეს სახვალიოდ გადადებენ ხოლმე და ხელიდან უშვებენ ხელსაყრელ ამინდებს. ასეთი გულდამშვიდება რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დროული, ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

თქმა არ უნდა, რომ საქართველოს სოფლის მშრომელებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, მაღალ პატრიოტულ გრძნობებს იწვევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი წარმატებებით გაახარონ სამშობლო, პარტია, გამოუშვან მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქტები. ამისათვის საჭიროა სოფლის ყველა მშრომელი დადგეს დამკვრელურ ვახტზე, ახალი წლის ყოველი დღე იყოს ნამდვილად დამკვრელური.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმზე მკაფიოდ ითქვა, რომ „1976 წელს მთელი ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური, იდეოლოგიური მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ გადავაქციოთ ახალი წელი რეაბილიტაციად მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მთლიანად გაჯანსაღებისათვის უკომპრომისო ბრძოლის შემდგომ გაძლიერების წლად".

დიახ, ეს ასე უნდა იყოს! ამას სამართლიანად, მტკიცედ მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პრინციპულად მოითხოვს ყველა კომუნისტისგან, ყველა მშრომელისგან, რომ ახალ ხუთწლედს ახლებური შრომითი რიტმი, შრომითი აღტკინება სჭირდება, რომ სიუხვე, ბარაქა, სიმდიდრე ყველა მშრომელის ერთსულოვანი, საგულდაგულო, ენერგიული შრომით და მხოლოდ შრომით იქმნება! ამისათვის საჭიროა თვითეული კომუნისტი, თვითეული მშრომელი ყოველდღე ეკითხებოდეს თავის თავს — გუშინ ყველაფერი გავაკეთე თუ არა, რის გაკეთებაც შეძლო?

სოფლის მშრომელებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის ახალი საჩუქრები, შრომითი წარმატებები. — ეს საუკეთესო ნობათია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის.

ჩვენი ფიქრები და საქმეები — მშობლიური პარტიის ყრილობას!

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

შრომით დავამშვენოთ საქართველოს კპ XXV ყრილობის ალსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება

ჩვენი ფიქრები და საქმეები — მშობლიური პარტიის ყრილობას

მხარი დავუჭიროთ შესანიშნავ თაოსნობას: იანვრის გეგმა — 22 იანვრისათვის, ორი თვის გეგმა — 24 თებერვლისათვის!

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები.

განიხილეს 1975 წლის სამინისტროების, უწყებების, ფიზიზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ამ საკითხზე ანგარიში გააკეთა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა გ. ვ. ხოშერიკმა.

სამინისტროებს, უწყებებისა და მთელი რიგი მსხვილი საშრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ სრულდება წლეანდელი წლის იანვრის გეგმა და სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

განიხილეს და მოიწონეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის", თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, რუსთავის ქიმიური ქარხნის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლეყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, გარდაბნის რაიონის მარტყოფის მემოსტნეობა-მერძევეობის სახეობა მეურნეობის კოლექტივთა ინიციატივები, რომლებმაც იკისრეს გადიდებული ვალდებულებები სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილებები. (საქინფორმი).

100 ამწით მეტი

რუსთავი. რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში დაიწყეს ახალი მთავარი კორპუსის შენებლობა, რომელშიც განლაგდება ყველა წამყვანი საამქრო, თუ ახალ კოშკურა ამწეების მონტაჟი ძირითადად ღია ცის ქვეშ წარმოებს, ახალი კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ყველა ოპერაცია განხორციელდება ამ დიდ შენობაში. გაუმჯობესდება შრომის პირობები, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და ხარისხობრივი მაჩვენებლები, წარმოების მოცულობა გადიდდება 20 პროცენტით. ეს შესაძლებელს გახდის ყოველწლიურად დაამზადონ 100 ამწით მეტი, ვიდრე ახლა ამზადებენ. (საქინფორმი).

ხოფელი: საქმე ზამთარშიც ბევრია

ყინვისაგან რომ დაიცვან

ზუბარაძე. („კომუნისტის" კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა მეჩაიეებმა იანვრის პირველ დღეებში შეასრულეს ჩაის პლანტაციების ნიადაგის დამბრვისა და სასუქების შეტანის დავალებანი. ამ მხრივ დაწინაურდა სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „ბამარჯვება" (თავმჯდომარე ი. პარკაია). აქ ამ დღეებში მთლიანად დაამთავრებენ საზამთრო სამუშაოებს. სასუქები შეტანილია 30 ჰექტარზე.

ბაბაბაძე. („კომუნისტის" კორ.). მახარაძელმა მეციტრუსეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ციტრუსოვანთა ნაყოფის სახელმწიფოსათვის მიუყიდის 1975 წლის ვალდებულება და მაშინვე შეუდგნენ ციტრუსების ნარგავების სანიშვნოდ გამოზამთრების ღონისძიებათა განხორციელებას. პარტიის მახარაძის რაიკომის ბიურომ დროულად იმსჯელა რაიონში ყინვისაგან ციტრუსების დაცვის მდგომარეობაზე.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იანვრის პირველ დღეებში დამთავრდა ციტრუსების გამოზამთრების სამუშაოები. დაფესვიანეა საღეღეობანი ორმოგეობა. ამ საქმეში მოწინავენი არიან სოფლების ნატანები, შრომის, გურიანთის, ძველთის და სხვა კოლმეურნეობები.

გარავენ, სასუქები შეაქვთ

ცხაკაია. („კომუნისტის" კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა და ცალკეულმა მეჩაიეებმა იანვრის პირველ დღეებში შეასრულეს ჩაის პლანტაციების ნიადაგის დამბრვისა და სასუქების შეტანის დავალებანი. ამ მხრივ დაწინაურდა სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „ბამარჯვება" (თავმჯდომარე ი. პარკაია). აქ ამ დღეებში მთლიანად დაამთავრებენ საზამთრო სამუშაოებს. სასუქები შეტანილია 30 ჰექტარზე.

საქართველოს კპ XXV ყრილობის დელეგატი

ხუთი დღის დავალება — ოთხ დღეში ამ მნიშვნელოვანი თაოსნობის ინიციატორად საქართველოში თბილისელი ფეიერი — ხარკოვ-ხატრიეტიანეთ კომბინატის მრთველი მზეა არათანაშემული ითვლება. მან პირველმა გააფართოვა თავისი სამუშაო ზონა და თავის კოლეგებს მოუწოდა მისი მაგალითისათვის მიებაძათ.

ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებიდან ამ მოწოდებას პირველმა დაუჭირა მხარი სრულად სხვა პროფესიის მუშამ — ტექნიკური რეზინის საწარმოს ქარხნის მწნეხავმა ბიუელი დვალმა. მისი ინიციატივით ეს შესანიშნავი თაოსნობა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების ფარგლებს გასცდა და მრეწველობის ყველა დარგში გავრცელდა.

ამასთან ქუთაისელმა ნოვატორმა მუშამ ამ შეჯიბრებას მეტი სიმძაფრე მისცა — ხუთი დღის დავალების არა ოთხ დღეში, არამედ სამ დღეში შესრულება იკისრა და ვალდებულება პირნათლად გაანაღდა — ვადამდე უპატაკა პირადი ხუთწლიანი დავალების შესრულება, ვეგმის გადამეტებით გამოუშვა 75 ათასი მანეთის პროდუქცია. ახლა იგი 1980 წლის, მეათე ხუთწლედის ბოლო წლის, ანგარიშში შრომობს!

— მეათე ხუთწლედი ხარისხის, ეფექტიანობის ხუთწლედია, — ამბობს ნოვატორი მწნეხავი, — ამიტომ ჩემს ახალ ვალდებულებაში ახლა განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ეროვნული ხარისხის ზრუნვას. ეთმობა. გადაწყვეტილი მაქვს ამ წელს ისე ვიმუშაო, რომ ჩემი პროდუქცია მხოლოდ საუკეთესო ხარისხის იყოს, პირადი დამღით, პირველი ჯარდგენისთანავე ჩაბარდეს ტექნიკური კონტროლის განყოფილებას.

საყრილობო შეჯიბრების ამ ცხარე დღეებში მწნეხავი გ. დვალი პირობას არ ლალატობს, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს და, როგორც ყოველთვის, დროს უსწრებს, დამკვრელურად შრომობს, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას წლის პირველი ორი თვის პირადი დავალების შესრულება უპატაკოს!

ნოვატორი მწნეხავი გ. დვალი ქუთაისელმა კომუნისტებმა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

სურათზე: ქუთაისის ტექნიკური რეზინის ნაწარმის ქარხნის მწნეხავი, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატი ბიუელი დვალი.

ბ. ბერსამეის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ცედენბალს

მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჟ. ბაზმუნჰს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ვულოცავთ და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მონგოლეთის სახალხო ჰურალის პრეზიდიუმს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და მოძმე მონგოლეთის ყველა მშრომელს სსრ კავშირისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 30 წლისთავის გამო.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ურთიერთობა ჩასახვის მომენტიდანვე ნამდვილი თანასწორფუფლებიანობის, ურთიერთდახმარებისა და ძმობის კარგ მაგალითს იძლევა, ცხადყოფს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ნორმებისა და პრინციპების დიდ ცხოველმყოფელ ძალას. ეს ურთიერთობა, რომელიც დღენიადაგ იბეჭდება და მდიდრდება ახალი ფორმებითა და შინაარსით, უზრუნველყოფს საბჭოთა და მონგოლი ხალხების თანამშრომლობის განუხრელ განვითარებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენი ურთიერთობის ახალი ისტორიული ეტაპი დაკავშირებულია საბჭოთა კავშირისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებასთან, რომელსაც ხელი მოეწერეთ 1966 წლის იანვარში ულან-ბატორში. საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ურთიერთობა. პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, განათლებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში — ყველგან თვალსაჩინოდ ვლინდება ამ ხელშეკრულების კეთილნაყოფიერი ზეიმქმედება. ეგი საესებით შეესაბამება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს, ემსახურება შორეული აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს, სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების გაძლიერებას.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი კმაყოფილებით აღიქვამენ ამ ფაქტს, რომ მონგოლი მეგობრები წარმატებით ავითარებენ თავიანთ ეკონომიკასა და კულტურას, რომ წლითიწლობით იზრდება მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ერთად განვლილმა გზამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნები ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდნენ ერთმანეთის წინაშე ნაკისრ საჯელშეკრულებო ვალდებულებებს. მონგოლ ხალხს უფლია მტკიცედ იყოს დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირი ყოველივე განამტკიცებს ძმურ მეგობრობას მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან, დაეხმარება მას სოციალისტურ მშენებლობაში, მისი საერთაშორისო პოზიციების, მისი უშიშროების განმტკიცებაში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, სოციალისტური მონგოლეთის ყველა მშრომელს, რომ მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის XVII ყრილობას შეხვდეთ სოციალიზმის მშენებლობაში, მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის ბრძოლაში მოპოვებული ახალი წარმატებებით.

დიდ მტკიცებებიდან ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ურღვევი კავშირი!

ლ. ბრეჟნევი — ნ. პოდგორნი — ა. კოსიგინი

მოსკოველ ინიციატორთა მხარდამხარ

ხუთწლედს — მუშური გარანტია

საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" ქარხანა „ელექტროგამშვების" სამაქსპორტო უბნის კოლექტივმა, რომელსაც ოსტატი ა. იმნაიშვილი ხელმძღვანელობს, პრიზულ ციის ჩაბარებმა პირადი დავალ მოიპოვა.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის" (გენერალური დირექტორი ა. ხუროძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. თოლორაია) საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ეგეგმა: „ეს ეს ... ...

სკკპ XXV ყრილობის შესახებ ხუთწლედის პროგლემები

გამოცხადებული • წინადადება

განვიხილავთ ხუთწლედის პროექტს

სკკპ XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1976-1980 წლებში“ არის განყოფილება, რომელიც ტრანსპორტელთა წინაშე დიდ ამოცანებს აყენებს. იგი ითვალისწინებს. საავტომობილო-ტრანსპორტის ტვირთბრუნვა მეათე ხუთწლედში დაახლოებით გაიზარდოს 42 პროცენტით, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის უპირატესი განვითარება მოხდეს, იმ აზრით, რომ მისი ტვირთბრუნვა 45 პროცენტით გადიდდეს, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა — 28 პროცენტით.

მეათე ხუთწლედში შემდგომი დიდი ნაბიჯი გადადგმება ავტომატურ-ტექნიკური ბაზის უფრო სრულად გამოყენებას.

მთავრდება დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების დანერგვის საშუალება, რამაც არსებითად უნდა აამაღლოს პირველადი რეგულების ინიციატივა და თვითმყოფადობა, გაუმჯობესოს დარგის მართვის მთელი კომპლექსი.

მეცხრე ხუთწლედში მწყობრში ჩადგა ცხრა გარაჟი 2080 საერთო მანქანა-ადგილით, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 17 საწარმოს, დაინერგა ავტომობილების ტექნიკური მომსახურების და რემონტის ორგანიზაციის ახალი მეთოდები.

რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში მომხდარმა დიდმა ძვრებმა, შეურიგებელმა ბრძოლამ ნეგატიური მოვლენებისა და მანე გადმონაშთების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ხორციელდება, დღის წესრიგში დააყენა კადრებთან მუშაობის საკითხებს, იარაღენენ ცალკეული ხელმძღვანელების, კომუნისტების ანგარიშებს.

დღეს საქართველოში ცოტა როდია ავტომატარანსპორტო საწარმო, სადაც ხელმძღვანელობის, პარტიული ორგანიზაციის, მთელი კოლექტივის საქმიანობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის საკითხებს მთავარი ადგილი უჭირავს. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ თბილისის № 2 და № 4 სატვირთო, ფუსთაკის № 3 სატვირთო ავტოსაწარმოთა, ბაგრის № 2660 ავტოკოლონის, ქუთაისის № 3 სატვირთო და ხაშურის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ამ მხრივ დაგროვილი გამოცდილება. ამ მოწინავე საწარმოებში დიდი ყურადღება ექცევა ავტომობილების ტექნიკური მომსახურების და რემონტის სისტემათა დამუშავებას. იქ წარმატებით იყენებენ ავტომობილების დიაგნოსტიკის ხაზებს, „ბანძების“ და აგრეგატების რემონტს აწარმოებენ ნაკადური მეთოდით, შრომის განაწილებით აბდენენ უნებების, სამუშაო ადგილების და ყველა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას.

ჩვენ ვცდილობთ ანალიზი გავუკეთოთ ერთნაირ პირობებში მომუშავე ავტოსატრანსპორტო საწარმოების მუშაობას, რომლთაგან ერთი მოწინავეა, ხოლო მეორე ჩამორჩენილი. რატომ ხდება ასე? ამის შესახებ ვამყნლობთ კოლეგიის სხდომებზე და ცვლილობთ მოწინავეთა დაგრძელი ინიციატივა ყველას საკუთრება გახდეს.

უკანასკნელ ხანს სამინისტროს აპარატის და მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება იყო ის, რომ გაძლიერდა სადირექტივო გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი. ამაში დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებმა. პრაქტიკაში შემოვიღეთ კოლეგიის სხდომებზე სამინისტროს ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშების განხილვა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ამასთან სისტემატურად, განუხრელად ეფექტიანობით შესრულების შემოწმებას.

ამისთვის სამინისტროში შეიქმნა მოძმეთმოქმედი ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ანგარიშს მიღებულ შედეგებზე, დაინერგა და წარმატებით მოქმედებს სადირექტივო დოკუმენტების შესრულების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის გამოყენებით, ფუჭი გარბენების, დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს ავტომობილების მოცდენების შემცირება და კონტეინერების გამოყენება წარმოადგენს.

ბეგმაში გვაქვს, რომ გადავხედოთ ავტობუსების მარშრუტებსაც, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნები ,უფრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ ავტობუსები, გავაძლიეროთ ხაზებზე მათი მუშაობის კონტროლი და ა. შ.

სადღეისო აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს აღმოვფხვრათ ტექნიკურად გამართული ავტობუსების მოცდენები და გავხარდოთ მოძძავი შემადგენლობის მუშაობის რეჟიმი. დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი. რითაც ეფექრობთ, აეამაღლოთ მათი გარბენის დონე.

სამინისტრო ჯერ-ჯერობით კვლავ ცუდად მარაგდება სათადარიგო ნაწილებით. დადგა დრო, რომ ძირეულად მოვპრდეს ეს საკითხი და ამით უზრუნველყოთ ავტოსატრანსპორტო საწარმოები, რომ შემდგომ მათი პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლოთ.

როგორც ჩანს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის მოძძავი შემადგენლობის განაწილების სისტემა სრულყოფილი არ არის და გადახედვას მოითხოვს. სამინისტროები და უწყებები, რომლებიც საკუთარი საავტომობილო პარკით გადაზიდვებს აწარმოებენ, უმეტეს შემთხვევაში ცდილობენ ავტოტრანსპორტი მკირე არენტაბელურ მეურნეობებად დაფუძნებაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უწყებრივმა საავტომობილო ტრანსპორტმა მხოლოდ შიდასამეურნეო და ტექნოლოგიური დანიშნულების გადაზიდვები უნდა აწარმოოს, დანარჩენი გადაზიდვები კი საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტს უნდა დაეკისროს. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გავაზარდოთ მოძძავი შემადგენლობის სამსახურის ადა ცენტალიზებული მომსახურების გზით.

წლეულს დიდი ამოცანებია საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების წინაშე. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას საერთო მოცულობა 4.2 პროცენტით ადაამეტებს შარშანდელ დონეს. ამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. მოსავლის ადებში აღება, მისი დამინავება ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის ეფექტიანობაზე. ეფეკრობთ, ეს მომავალ ხუთწლედში ბევრ სარგებლობას მოგვიტანს.

მეათე ხუთწლედში, როგორც ადრე, შრომისნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვან ადგილს მესაბმელების უფრო ფართოდ გამოყენება, ფუჭი გარბენების, დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს ავტომობილების მოცდენების შემცირება და კონტეინერების გამოყენება წარმოადგენს.

ბეგმაში გვაქვს, რომ გადავხედოთ ავტობუსების მარშრუტებსაც, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნები ,უფრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ ავტობუსები, გავაძლიეროთ ხაზებზე მათი მუშაობის კონტროლი და ა. შ.

სადღეისო აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს აღმოვფხვრათ ტექნიკურად გამართული ავტობუსების მოცდენები და გავხარდოთ მოძძავი შემადგენლობის მუშაობის რეჟიმი. დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი. რითაც ეფეკრობთ, აეამაღლოთ მათი გარბენის დონე.

სამინისტრო ჯერ-ჯერობით კვლავ ცუდად მარაგდება სათადარიგო ნაწილებით. დადგა დრო, რომ ძირეულად მოვპრდეს ეს საკითხი და ამით უზრუნველყოთ ავტოსატრანსპორტო საწარმოები, რომ შემდგომ მათი პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლოთ.

როგორც ჩანს, სამინისტროებსა და უწყებებს შორის მოძძავი შემადგენლობის განაწილების სისტემა სრულყოფილი არ არის და გადახედვას მოითხოვს. სამინისტროები და უწყებები, რომლებიც საკუთარი საავტომობილო პარკით გადაზიდვებს აწარმოებენ, უმეტეს შემთხვევაში ცდილობენ ავტოტრანსპორტი მკირე არენტაბელურ მეურნეობებად დაფუძნებაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ უწყებრივმა საავტომობილო ტრანსპორტმა მხოლოდ შიდასამეურნეო და ტექნოლოგიური დანიშნულების გადაზიდვები უნდა აწარმოოს, დანარჩენი გადაზიდვები კი საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტს უნდა დაეკისროს. საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გავაზარდოთ მოძძავი შემადგენლობის სამსახურის ადა ცენტალიზებული მომსახურების გზით.

ავტო-ტრანსპორტელთა ღვლილი

ყოველგვარი ტვირთზიდვა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით უნდა ვაწარმოოთ

ელდება, დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დაყენება ადგილებიდან მუშაობის, მათი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლების საკითხები. სამინისტრო და მისი პარტიული ორგანიზაცია კოლეგიებზე, ბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე სისტემატიურად განიხილავენ კადრებთან მუშაობის საკითხებს, იარაღენენ ცალკეული ხელმძღვანელების, კომუნისტების ანგარიშებს.

ბოლო ორ-სამ წელიწადში ბევრი ადგილობრივ ორგანიზაციებში მომუშავე ავტოსატრანსპორტო საწარმოების მუშაობის, რომლებიც ერთი მოწინავეა, ხოლო მეორე ჩამორჩენილი. რატომ ხდება ასე? ამის შესახებ ვამყნლობთ კოლეგიის სხდომებზე და ცვლილობთ მოწინავეთა დაგრძელი ინიციატივა ყველას საკუთრება გახდეს.

ავტო-ტრანსპორტელთა ღვლილი

ყოველგვარი ტვირთზიდვა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით უნდა ვაწარმოოთ

ჩვენი აზრით

წარმოება რომ არ შემცირდეს

მეუმარიტად ეროვნული ხაქმეა ზესტაფონის ატომოფეროს გაწმენდის პრობლემის გადაჭრა. მაგრამ ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. გაზგამწმენდ მოწყობილობას სამი ღუმელი შეუერთდა, დანარჩენი ღუმელები კვლავ მავნედ ბოლავს.

სამინისტროსთან შეთანხმებით იანვრის პირველი დღეებიდანვე გამოირთო პირველი საამქროს № 6 ღუმელი, დანარჩენი ორი ღუმელიდან ერთ-ერთი უნდა მიუერთდეს არსებულ გაზგამწმენდ მოწყობილობას, ხოლო მეორე გამოირთოს წლის ბოლომდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქარხანაში წლეულს ხულ ცოტა 20 ათასი ტონით შემცირდება ლითონის გამოდნობა, რაც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ახალ ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული შავი მეტალურგიის წინაშე. ამიტომ ვფიქრობ, უმჯობესი იქნება გაზგამწმენდი მოწყობილობა დამატებით კიდევ სამი ღუმელისათვის და საჭირო არ გახდება მათი წარმოების ცოცლიდან გამორთვა, არ შემცირდება ძვირფასი ფეროშენადნობის გამოშვება.

გრ. ნანიტაშვილი,
ფეროშენადნობთა ქარხნის ცვლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

კვლევა — ეფექტური!

პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში გათვალისწინებულია მართვის ავტომატიზებული სისტემების და გამოთვლითი ცენტრების ეფექტურობის გაზრდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტმა უკვე 1975 წლიდან წამოიწყო მუშაობა კოლექტიური სარგებლობის, გამოთვლითი სისტემის დასამუშავებლად, რომელიც განკუთვნილი იქნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში მიმდინარე სამეცნიერო ექსპერიმენტების მონაცემების დამუშავებისა და მართვისათვის. ამ სისტემის განხორციელება, რომელიც უპასუხებს პროექტის სხვა დებულებასაც სამეცნიერო კვლევის ეფექტურობის გაზრდის შესახებ, შექმნის საფუძველს საერთო რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრისათვის, ხოლო რესპუბლიკური ქსელი საერთო სახელმწიფო სისტემის შემადგენელი ნაწილი გახდება.

ნ. ყიფიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

პროგრესული მეთოდით

ახლა პროდუქტების ხავაჭრო მაღაზიებში სულ უფრო ფართოდება პროგრესული მეთოდით მწოლიერთა მომსახურების ფორმა — თვითმომსახურება. მაგრამ როგორც ჩანს, ახეთი პროგრესული მეთოდი ჯერჯერობით ნელა ინერგება. პროდუქტების მრავალ მაღაზიაში გამეიდველები ფულს კვლავ ხელზე იღებენ, რაც არ არის პიგიენის თვალსაზრისით გამართლებული. უფრო მეტიც: ბევრგან თავსაც კი არიდებენ ვაჭრობაში პროგრესული მეთოდის დანერგვას. ამას ისიც უშლის ხელს, რომ ჩვენი საწარმოები საკმაო რაოდენობით არ უშვებენ შეფუთულ საქონელს. ვფიქრობ, ახალ ხუთწლედში მკვეთრად უნდა გაიზარდოს შეფუთული კვების პროდუქტების გამოშვება.

თ. ნაცვლიშვილი,
ინჟინერ-ქიმიკოსი.

დიდი საქმის მხარდასაჭერად

სამეურნეო ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა

ერც თუ იხე დიდი დრო დარჩა სკკპ XXV დაა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებამდე. მთელი ჩვენი საზოგადოების ძალა და ენერგია ახლა მიმართულია ამ ყრილობათა ღირსეულად შეხვედრისაკენ. ეს ენთუზიაზმი იგრძნობა მეცნიერულ საქმიანობაშიც. ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარმა თვალსაჩინო ძვრებმა, ნეგატიური მოვლენების დაძლევისა და ჯანსაღი სულიერი ატმოსფეროს შექმნისათვის გაჩაღებულმა ბრძოლამ ახალი ამოცანები წამოჭრა იდეოლოგიური დარგის მუშაკების წინაშეც.

ამ ორიოდე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის საკითხი, ამბილა ინსტიტუტის მუშაობაში დაშვებული ნაკლოვანებები და დასახა მათი გამოსწორების გზები. როგორ წარიმართა მას შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა საქმიანობა? როგორ გამოეხმაურნენ ისინი აგრეთვე გაზეთ „პრავდის“ 1975 წ. 19 სექტემბრის ხარედაქციო სტატიას „საბჭოთა ფილოსოფოსების მაღალი მოვალეობა?“ რა შეიცვალა არსებობად ინსტიტუტის ცხოვრებაში?—აი, ამ საკითხებთან დაკავშირებით რედაქციის მრგვალ მაგიდასთან მოვიწვიეთ ინსტიტუტის დირექტორი ნ. ჯავგავაძე, დირექტორის მოადგილე თ. ბუაჩიძე, ანთროპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ა. ბოკორიშვილი, ეთიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი გ. ბანძელაძე, დიალექტიკური მატერიალიზმის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ხ. ავალიანი, ესთეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ზ. კაკაბაძე, ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ო. ჯიოევი, ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი რ. ბალანჩივაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი ო. ტაბიძე და სხვები.

ნ. ჯავგავაძე: ფილოსოფიის ინსტიტუტის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანეით დგას ამოცანა: ვიყოთ კომუნისტური მშენებლობის ავანგარდში, ვამოვავლინოთ მთელი ჩვენი უნარი და შესაძლებლობანი, რათა ოპტიმალურად შეგუსამთხეთ ერთმანეთს ჩვენი მეცნიერული და პროპაგანდისტული მუშაობა, მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩვენი მუშაობა. ახლა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ინსტიტუტის საქმიანობის გენერალური ხაზი გამომდინარეობს სწორედ იმ მოთხოვნილებიდან და ამოცანებიდან, რასაც დღეს პარტია და ხალხსუფლება გვიხასავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შემდეგ ინსტიტუტში განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება. პირველყოვლისა გამოიკვეთა ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება. ეს არის ფილოსოფიურ პრობლემათა ნერგი: ადამიანი, კულტურა, ღირებულება. სტრატეგიული მიმართულების არჩევა განსაზღვრა, როგორც ინსტიტუტის შესაძლებლობებმა, ისე გადაუდებელმა ამოცანებმა, რაც დგას რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წინაშე.

ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანის, კულტურისა და ღირებულების ფილოსოფიური პრობლემების სერიოზული დამუშავებით წვლილს შეიტანთ მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების საქმეში. მე ვფიქრობ, ერთერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში ასე მოიკიდა ფეხი ნეგატიურმა მოვლენებმა, არის ყურადღების შესუსტება ადამიანის, კულტურის, ღირებულების პრობლემებისადმი.

თ. ბუაჩიძე: პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში ერთერთ ნაკლად სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ ჩვენ კარნარეტულ ცხოვრებას ვეწეოდით, აქტიურად არ ვერეოდით საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხოლოდ „ეშინდა“ ფილოსოფიურ პრობლემებს ძსწავლობდით. ამ ნაკლის გამოსწორების გზები მართლაც ჩანს. ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ახლა ხშირი სტუმრები არიან ჩვენ წარმოება-დაწესებულებებისა: აწყობენ იქ თეორიულ კონფერენციებს, კითხულობენ ლექციებს, ეურნალ-გაზეთებში აქვეყნებენ საინტერესო სტატიებსა და თეორიულ წერილებს... თუმცა ეს ნაკლი ბოლომდე კიდევ ვერ დავლიეთ. ინსტიტუტში ასამდე მეცნიერი თანამშრომელია და მათი პოტენციური შესაძლებლობანი ამ მხრივ მთლიანად ვერ არის გამოვლენილი.

ზ. კაკაბაძე: ფილოსოფია თავისებური ხასიათის აზროვნებაა და ამტომაც თავისებური ხასიათისაა მისი კავშირი და ურთიერთობა ცხოვრებასთან. ამ თავისებურების გამო ადილი აქვს ზოგჯერ სპირისპირო ხასიათის გაუგებრობებს — ერთნი ვერ ხედავენ ფილოსოფიის კავშირს ცხოვრებასთან, ვერ ამჩნევენ, რომ ფილოსოფიის მიერ განხილული საკითხები თვითონ ცხოვრების მიერაა დაყენებული, ცხოვრებისეული საკითხებია; ფილოსოფია ცხოვრებისაგან განყენებულ და ამ აზრით, „აბსტრაქტულ“ აზროვნებად მიიჩნიათ, ხოლო მეორენი ფილოსოფიაში ისეთ კერძო საკითხებზე ეძებენ პასუხებს, რაც კერძო მეცნიერებათა კომპეტენციის შეადგენს და არა ფილოსოფიისა. როგორც ერთი, ისე მეორე გაუგებრობა ფილოსოფიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ბადებს.

ამ გაუგებრობაში დანაშაულით ჩვენც მიგვიძღვის. ჯერ ერთი, აქამდე საკმარისად არ ვწერდით ფილოსოფიისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხებზე, სრულყოფილად არ განვმარტავდით მათ; მეორეც, რაზედაც ვწერდით, ვწერდით ისე, რომ ნათლად არ ჩანდა ჩვენს მიერ განხილული საკითხების ცხოვრებისეულობა.

ბურჟუაზიულ ფილოსოფიურ თეორიებს ვაკრიტიკებდით ისე, რომ არ ვუჩვენებდით მათს კავშირს ცხოვრების მოვლენებთან; ნაკლებად ვგვქონდა შეგნებული, რომ ფილოსოფიური თვალსაზრისის კრიტიკა იმავე დროს ცხოვრების მახინჯი მოვლენების კრიტიკაა.

ამ სიტუაციაში ჩვენი ვალია ხელი მოვკიდოთ ცხოვრების ისეთი მახინჯი მოვლენების ფილოსოფიურ კრიტიკას, როგორიცაა მომხვეჭელობა, პროტექციონიზმი, კარიერიზმი და სხვ. ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მტკიცე საჭირო დადგენილება მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების აღმოსაფხვრელად. ცხადია, ესეც ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ნ. ჯავგავაძე: დავუბრუნდები ისევ ბოლო დროს განხორციელებულ კონკრეტულ ღონისძიებებს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესაბამისად მთელი რიგი ცვლილებები შეიტანეთ ინსტიტუტის სამუშაო გეგმაში; შარშანდელი სამუშაო გეგმიდან ამოვიღეთ თეორიული ნაშრომი (დაგეგმილ სამუშაოთა ერთი მესამედი) და შევცვალეთ ახლით, უფრო აქტუალურით. იმის გამო, რომ ინსტიტუტში შეიქმნა ეთიკის განყოფილება (რაც თავ-ის მხრივ განპირობებულია მორალის პრობლემების წამოწევითი წინა პლანზე ჩვენს რესპუბლიკაში), გეგმას დაუმატეთ კოლექტიური თემა „მარქსისტული ეთიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“. ამ თემის დამუშავებით ალბათ დიდად სასარგებლო საქმეს გავაკეთებთ.

ბ. ბანძელაძე: ეთიკა სწორედ ის სფეროა, რომლითაც ფილოსოფია უშუალოდ უკავშირდება ცხოვრებას, პრაქტიკას, ადამიანთა საარსებო ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. მატერიალური ღირებულებანი, ეკონომიკა და ბაზისი ადამიანებს სწორედ იმიტომ სჭირდებიან, რომ ქმნიდეთ შესაძლებლობა გამოავლინონ და განვითარონ ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება—თავისუფლებისა და შემოქმედებისადმი მისწრაფება. შრომას, აზროვნებას და შემოქმედებას ადამიანი აერთიანებს ახლოდან, როგორც სოციალური არსება, როგორც საზოგადოებისა და კოლექტივის წევრი. აქედან აშკარაა ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი უმაღლესი მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მიზნებისა და იდეალების, ღრმა, მეცნიერული კვლევის საჭიროება და მნიშვნელობა.

ნ. ჯავგავაძე: მე მოგახსენებთ კიდევ ინსტიტუტში მომხდარ ზოგიერთ სტრუქტურულ ცვლილებებზე. ასე მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიის განყოფილება გადაკეთდა ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის განყოფილებად, ისტორიული მატერიალიზმის განყოფილება გარდაიქმნა ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის განყოფილებად, სოციოლოგიურ გამოკვლევათა ლაბორატორია, (რომელიც აქამდე ცალკე არსებობდა) დაუქვემდებარდა ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის განყოფილებას. იჭი შეიქმნა ახალი ზოგიერთი თანამშრომლებით. შეიქმნა აგრეთვე თარგმნისა და ინფორმაციის სექტორი. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილებაში გაძლიერდა ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების პოზიტიური კვლევა.

ო. ჯიოევი: ადამიანის, მისი ღირებულების და კულტურის პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდა მეცნიერული პროგრესისა და საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანის როლიც. სხვათაშორის, „პრავდის“ ამსწინანდელ სარედაქციო სტატიაში ხაზგასმულია ადამიანის, საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების პრობლემის მნიშვნელობა.

ნ. ჯავგავაძე: რა თქმა უნდა, და არა მარტო ადამიანის პრობლემა, მთელი რიგი საკითხებიც, რაც წამოჭრილია „პრავდის“ სარედაქციო სტატიაში, არსებითად ანალოგიურია ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებისა. ამიტომ ჩვენი მუშაობა ძირითადად უნდა დავუქვემდებაროთ ამ ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

ა. ბოგორიშვილი: ყველაფერი რაც არის ნათქვამი „პრავდის“ სარედაქციო სტატიაში, მეტ-ნაკლებად ეხება ავრეთვე ფილოსოფიის მდგომარეობას ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც წარმატების, ისე წარუმატებლობის ასპექტით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დებულებებს, რომლებიც ეხება ფილოსოფიის შემდგომი განვითარების გზებს. ჯერ კიდევ 1967 წლის 23 აგვისტოს „პრავდა“ წერდა, რომ გამოქვეყნებას იმსახურებს მხოლოდ ის ნამუშევრები, რომლებიც მეცნიერებას ამდიდრებენ ახალი იდეებით, დასკვნებით, რეკომენდაციებით. ამჟამადაც გაზეთი „პრავდა“ ამ დებულებას იმეორებს. ეს გასაგებია, რადგანაც ამ მოთხოვნის უგულებელყოფა დოგმატიზმის რეალურ საფრთხეს ქმნის. ზრუნვა დიალექტიკური მატერიალიზმის განვითარებისათვის, მისი დიფერენციალური და ინტეგრალური ზრდისათვის ყოველი ფილოსოფოსის მუდმივი ამოცანაა.

ს. ავალიანი: გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ფილოსოფოსების ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს ფუნდამენტური გამოკვლევების შექმნა, რომლებშიც მოცემული იქნება მეცნიერების მიერ დაგროვილი თეორიული და ფაქტობრივი მასალის ღრმა განზოგადება. ფუნდამენტური კვლევა, რასაკვირველია, რთული; იგი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს; მაგრამ მეცნიერებაში, როგორც კ. მარქსი ამბობდა, ფართო შარაზა არ არსებობს, ეს რჩეულთა საქმეა. ფუნდამენტური გამოკვლევა მხოლოდ ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგი შეიძლება იყოს.

რ. ბალანჩივაძე: თავს თუ გადავავლებთ ბოლო ორ წელს, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ინსტიტუტში ცოტა რამ არ გაკეთებულა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის; განსაკუთრებული წარმატებები გვაქვს ადამიანის ფილოსოფიური ცოდნის საკითხში. უკვე გამოვიდა „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხების“ სამი ტომი. წლეს მათთვალეული ბიბლიოგრაფია ეტყვა ტომს. იგი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიურ საკითხებს ეძღვნება. უკვე იბეჭდება და მომავალ წელს გამოვა მეხუთე წიგნი. გამოვიცემთ ჭრესტომათიას „მარქსი და ენგელსი ადამიანის შესახებ“. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ინსტიტუტის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობა იმ საერთაშორისო და საკავშირო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა თუ სესიებში, რომლებიც ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემებს მიეძღვნა. პროფესორი ო. ტაბიძე მოხსენებით გამოვიდა საერთაშორისო სიმპოზიუმზე სოფიაში. ოქტომბრის ბოლოს ჩვენი ინსტიტუტის მრავალმა თანამშრომელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ საკავშირო კონფერენციაში, რომლის თემა იყო: „ადამიანის კომპლექსური შესწავლა და ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება“.

ნ. ჯავგავაძე: ეს კონფერენცია ამბობ-ა იყო საინტერესო,რომ დაადასტურა ჩვენი საქმიანობის ტენდენციის სისწორე. იყო დრო, როდესაც ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის კვლევას ეშვნის თვალით უყურებდნენ.

ბ. ბანძელაძე: მეტად საინტერესოა ფაქტია: რამდენიმე წლის წინ, როცა დაიწყეთ ღირებულების პრობლემების კვლევა, გარკვეულ ფილოსოფიურ წრეებში წინააღმდეგობებს წაეწყდით, ამჟამად საბჭოთა კავშირში ამ პრობლემებზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. იგივე უნდა ითქვას ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტთან გაიხსნა პიროვნების კვლევის სექტორი.

ო. ტაბიძე: ერთ რამეზე მსურს გავამახვილო თქვენი ყურადღება. ეს არის ჩვენი საქმიანობის საზოგადოებრივი როლის ამაღლება და ჩვენი მუშაობის რეალურად გამოყენების საშუალება. ამისათვის ჩვენთან მთელი სისტემაა შექმნილი — პრესა, ტელევიზია, გამომცემლობები სწორედ ამ საქმეს ემსახურება, მაგრამ ეს მექანიზმი რომელიც ფილოსოფიის პროპაგანდისთვი საცაა მოწოდებული, ჩემის აზრით უფრო სრულყოფას და დახვეწას მოითხოვს. როდესაც ტრიბუნას ვუთმობთ ადამიანს, ვიცვ მსაგის წინაშე ცარიელსიტყვაობით ფარდდება და ამას მსმენელიც და მკითხველიც გრძნობს, მაშინ ყველაზე დიდ იდეოლოგიურ შეცდომას ვუშვებთ. ჩვენს იდეოლოგიას ისე არაფერი ავნებს, როგორც ტრიბუნის დაობრდ, ეს ცარიელ ფრაზებად ხდება. ხშირად პრესაში იბეჭდება მდარე ხარისხის თეორიული წერილები, შესაძლებელი იყო კი ამა თუ იმ საკითხზე უფრო კომპეტენტურ ავტორებს ეოქვათ თავიანთი სიტყვა.

ნ. ჯავგავაძე: თქვენს გამოსვლაში მეორე უფრო საგანგაშო მდგომარეობას ვხედავ, ეს არის ფილოსოფიური კადრების მომზადების საკითხი. მაღალკვალიფიციურ კადრებზე კი დიდად არის დამოკიდებული ჩვენი მუშაობის ეფექტურობა, ის თუ როგორი წარმოდგენა აქვს ჩვენზე, ფილოსოფოსებზე საზოგადოებას. საერთოდ მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ გადამზადდნენ ფილოსოფოსები ლენინგრადში. მაგალითად, მოსკოვსა და კიევში არის ასეთი მუდმივმოქმედი კურსები. ძნელი არ იქნება ამ კურსების ჩამოყალიბება ჩვენი უნივერსიტეტისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ბაზაზეც.

ო. ტაბიძე: ეს უეჭველად კარგი საქმეა.

ნ. ჯავგავაძე: როგორც ვხედავთ პრობლემები ბევრია. ბევრის გაკეთებაც გვმართებს. ახლა ჩვენი მოკავალი ამოცანა ის არის, რომ მჭიდროდ დავუკავშიროთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იმ პროცესებს, რაც დღეს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს, მოვძებნოთ ახალი ფორმები დიდი ხარის ბმარდასაჭერად, გავაუმჯობესოთ სოციალური და კულტურული პრობლემების პოზიტიური დამუშავება, შევუხამოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პროპაგანდისტულ საქმიანობას, გავაძლიეროთ ბურჟუაზიური იდეოლოგიის კრიტიკა, გავითვალისწინოთ იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება. ჩვენს სამოგრამო დოკუმენტებად უნდა იქცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება ფილოსოფიის

ფაქტები მოვლენები· პროგლემები

საკდები და უცხოეთის პრესის საგანგებოები იტყობინებიან

მსოფლიოს ამბები

სიონისტთა პროვოკაციები

„ებრაელთა დაცვის ლიგის“ განდიტური თავდასხმები

ნიუ-იორკი. (საკდესი). „ებრაელთა დაცვის ლიგა“ განაგრძობს ბანდიტურ თავდასხმებს ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლობათა შენობებზე. პოლონეთის, იუგოსლავიის, კუბის, ეგვიპტის, ერაყისა და სხვა ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლობათა შენობებზე თავდასხმების შემდეგ სიონისტმა არამზადებმა ქვით ჩაამტვრიეს მინები ინდოეთის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში. პოლიციელებმა შემთხვევის ადგილას დააკავეს „ებრაელთა დაცვის ლიგის“ წევრი სამი ხულიგანი, რომლებიც ანტიინდურ და ანტიარაბულ ლოზუნგებს გაიძახოდნენ.

გადაჭრით დაგმო რა ეს ბანდიტური თავდასხმა, ინდოეთის მუდმივმა წარმომადგენლობამ ამერიკის ხელისუფლებისადმი თავის პროტესტში ხაზი გაუსვა, რომ ეს უკვე პირველი არ არის შემთხვევა ინდოეთის მისიაზე დანაშაულებრივი თავდასხმისა, რომლებსაც „ებრაელთა დაცვის ლიგა“ აწყობს ხოლმე.

ამ ბოლო დროს „ებრაელთა დაცვის ლიგის“ მეთაურები თავიანთ გამოსვლებში პროვოკაციულად ემუქრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ უცხოეთის სახელმწიფოთა მუდმივ წარმომადგენლობებს. ამ მუქარას გულისწყრომით გმობს და პროტესტით ხვდება ბევრი დელეგაცია.

ქვიპროსის პრობლემის გარშემო

ნიკოზია. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ხ. პერეს დე კუელარი აქ შეხვდა კვიპროსის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეს გ. კლირიდისს, აგრეთვე კვიპროსელ თურქთა თემის ხელმძღვანელს რ. დენქტაშს. შეხვედრები მოეწყო კონსულტაციების ფარგლებში კვიპროსის საშინაო მოლაპარაკების აღდგენისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

როგორც ხ. პერეს დე კუელარმა განაცხადა, მან მოლაპარაკების თარიღისა და ადგილის შესახებ აზრი გაუზიარა კვიპროსის ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, ეს კონსულტაციები ჯერ კიდევ საწყის სტადიაშიაო.

კვიპროსის პრესა ფართოდ განძარტავს მოლაპარაკების გახახლების შესაძლებლობებსა და კვიპროსის პრობლემის გადაჭრის პერსპექტივებს. ამასთან კვიპროსის საზოგადოებრიობის შეშფოთებას იწვევს ის, რომ კვლავ გააქტიურდა დასავლეთის დიპლომატია, რომელიც კვლავინდებურად უპირატესობას აძლევს ფარულ კონსულტაციებსა და მანევრებს კვიპროსის საკითხზე.

ადგილობრივი მიმომხილველნი აუარადდუბას მიაპყრობენ იმას, რომ ოფიციალურ გამონათქვამებში, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა ფარული კონტაქტების შემდეგ, არაფერი არ არის ნათქვამი კვიპროსის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებზე. ამასთან, როგორც გაზეთი „დემოკრატია“ წერს, სწორედ ეს რეზოლუციები „განსაზღვრავენ კვიპროსში სამართლიანი მოწესრიგების ფარგლებს“. დასავლეთ დიპლომატია თავს არიდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების განხორციელებას. ამის მიზეზად გაზეთს მიაჩნია მათი მოსწრაფება მიაღწიონ ისეთი გადაწყვეტილებს, რომელიც „შეესაბამება ნატოს სტრატეგიულ თუ სხვა ინტერესებს“.

იგივეს წერს ყოველკვირეული გაზეთი „დემოკრატია“, რომელიც აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეები „კვიპროსის პრობლემის გადაწყვეტას განიხილავენ ნატოს ფარგლებში“.

ცვლილებანი საფრანგეთის მთავრობაში

პარიზი, (საკდესი). აქ გამოცხადდა, რომ საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობაში მოხდა ცვლილებები. დანიშნეს ახალი მინისტრები: საგარეო ვაჭრობისა — რ. ბარი, თანამშრომლობის საკითხთა — ე. დე ლიპკოვსკი და ცხოვრების პირობების საკითხთა — ა. ფოხე. დემოკრატიული ცენტრის პარტიის თავმჯდომარე ჟ. ლეკანუე, რომელიც დარჩა იუსტიციის მინისტრისა და ბეჭდის მცველის თანამდებობაზე, დანიშნულია აგრეთვე სახელმწიფო მინისტრად, წინათ ასეთი რანგი მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს მ. პონიატოვსკის ჰქონდა. სახელმწიფო მდივანთა რიცხვი 22-დან 27-მდე გაიზარდა.

პრეზიდენტმა ჟ. ჟისკარ დ. ესტენმა საფრანგეთის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ გადაადგილებას „ტექნიკური ხასიათი“ აქვს და პოლიტიკურ ცვლილებებს არ მოასწავებსო.

კორტუგალია

რევოლუციური საბჭოს სხდომა

ლისაბონი, (საკდესი). აქ გამართა პორტუგალიის რევოლუციური საბჭოს სხდომა, განიხილეს პოლიციკურ პარტიათა ფინადადებებზე შეიარაღებული ძალების მოძრაობის პასუხის ძირითადი დებულებანი პოლიტიკურ პარტიებსა და შეიარაღებული ძალების მოძრაობას შორის ახალი კონსტიტუციური შეთანხმების გამო. გადაწყვეტილია ეს პასუხი განსახილველად გადასცეს ხუთ პოლიტიკურ პარტიას, რომლებთანაც მოლაპარაკებას აწარმოებს რევოლუციური საბჭოს მიერ დანიშნული სპეციალური კომისია. როგორც გაზეთი „დიარიუ“ წერს, რევოლუციური საბჭოს წევრები გადაჭრით აღამჭრებენ ზოგიერთი მემარჯვენე პარტიის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ საბჭო გარდაქმნან მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის „კონსულტაციურ“ ორგანოდ. სამხედრო წარმომადგენლები მხარს უჭერენ რევოლუციური საბჭოს შენარჩუნებას ქვეყანაში პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ.

იტალიის პარლამენტში

რომი, (საკდესი). ტრადიციული საახალწლო არდადეგების შემდეგ აქ გაიმართა იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის პირველი სხდომა ახალ, 1976 წელს. სხდომაზე ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გადადგა მთავრობა ქრისტიანი დემოკრატიის ა. მოროს მეთაურობით.

იტალიაში მთავრობის გადადგომას ჩვეულებრივ ავტომატურად მოჰყვება ხოლმე პარლამენტის მუშაობის შეწყვეტა. მაგრამ ახლანდელ მომენტში ეს იწვევს ქვეყნის დემოკრატიული ძალების პროტესტებს: სენატისა და დეპუტატთა პალატის განსახილველად გადაცემულია დიდმნიშვნელოვანი კანონპროექტების მთელი სერია, რომლებიც იტალიის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ეხება. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მათი განხილვის შეწყვეტა, როგორც აქ მიიჩნიეთ, კიდევ უფრო გაამწვავებს არსებულ პრობლემებს.

ამასთან დაკავშირებით იტალიის კომპარტიის წევრმა დეპუტატებმა შეიტანეს წინადადება, მთავრობის კრიზისის მიუხედავად, განაგრძონ პარლამენტში ზოგადი დისკუსია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. კომუნისტი დეპუტატების ამ წინადადებას განიხილავენ საპარლამენტო ჯგუფების თავმჯდომარეების სხდომაზე.

ეკვადორი

შეიქმნა ახალი მთავრობა

კიტო. (საკდესი). უმაღლესმა მმართველმა საბჭომ, რომელიც შეიქმნა ეკვადორის პრეზიდენტის გილერმო როდრიგეს ლარას გადადგომის შემდეგ, შეადგინა ქვეყნის ახალი მთავრობა. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია არანდო პესანტესი, შინაგან საქმეთა მინისტრია პოლკოვნიკი რიჩელიე ლევიერი, ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტზე დარჩა ანდრეს არატა.

ახალ მინისტრთა კაბინეტის წევრთა დიდ უმრავლესობას შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები შეადგენენ.

მთავრობის შედგენის შემდეგ უმაღლესი მმართველი საბჭოს მეთაურმა ვიცე-ადმირალმა ალფრედო პო

თეატრი — ჩემი სიცოცხლე

(დასასრული).

ბიჭს. მაგრამ რუსთაველის თეატრში მუშაობის პერიოდიდან მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვასო გოძიაშვილის ახმა ს. შანშიაშვილის „ანზორში“.

1930 წლიდან დღემდე ვასო გოძიაშვილი მარჯანიშვილის სახელობის თეატრშია და მისი ყველა დიდი გამარჯვება, სიხარული თუ ზოგჯერ გულისტკივილიც ამ თეატრთან არის დაკავშირებული.

— აი უკვე 45 წელია თქვენ მარჯანიშვილის თეატრში ხართ, დაახლოებით რამდენი როლი გექნებათ შესრულებული?

— არ ვიცი, არასოდეს დამითვლია, მხოლოდ ერთი კი მეშინია — კოგელი მათგანისათვის ჩემი გული რაღაც ნაწილი მიმიცია, ზოგისთვის მეტი, ზოგისთვის ნაკლები, ასე რომ, მთელი ჩემი გული თეატრის საკუთრებაა და ჩემი სიცოცხლეც თეატრია...

ათეულობით სახე შეუქმნია ვასო გოძიაშვილს სცენაზე. ყველას ჩამოთვლა ძალიან მორს წაგიყვანდა. გავიხსენოთ მხოლოდ უმთავრესნი, მაგალითად, ისეთები, რომელიც არის (ქრონოლოგიურად) ბეგლარი — კ. კალაძის „როგორ“, დე-სანტოსი — კ. გუცაოვის „ურიელ აკოსტა“, მენგო — ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ჩეშმაკი — ზ. ანტონოვის „ზზის დაბნელება საქართველოში“, ბოცვანი კობაზა — ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“. ლუარსაბ თათქარიძე.—ი. ბავშვაძის „კაცია ადამიანი?!“, ალეკო.—ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ფიგარო — ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, დონ-სეზარ-დე ბაზანი —ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზი“, ორმანი—ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, ერეკლე მეორე—ლ. გოლუს „მეფე ერეკლე“ დავ. ალიშერიანის „მაია წყნეთელი“, არბენინი —მ. ლერმონტოვის „მასკარადი“, ხლესტაკოვი—ნ. გოგოლის „რევიზორი“, ბახა — ალეკ ფშაველას „მოკვეთილი“, ზურია ხარაბელი — მ. მრევლიშვილის „ხარაბაანთ კერა“, რიჩარდი — შექსპირის „რიჩარდ მესამე“, კეისარი — ბ. შოუს „იულიუს კეისარი და კლეოპატრა“, დამოლოს, სამი როლი თავისიანი რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლ „ძველ ვოდევილებში“.

— რომელი სცენური სახე მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად თქვენს შემოქმედებაში?

— ლუარსაბ თათქარიძე... ილია ჭავჭავაძე ტიპების, ხასიათების ძერწვის უდიდესი ოსტატია და თუ სცენაზე მისი გმირის „გაცოცხლებას“ შეძლებ, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა!..

— დაგვისახელეთ მარჯანიშვილისა და ახმეტელის თითო საუკეთესო სპექტაკლი, რომლებიც სამუდამოდ აღიბეჭდა თქვენს მეხსიერებაში.

— კოტე მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტა“, სანდრო ახმეტელის „ანზორი“.

— ყველაზე მეტად რა თვისებას აფასებთ მსახიობში?

— განცდას... აქ მინდა გავიხსენო მოსკოველ კორესპონდენტთან ჩემი საუბრის კიდევ ერთი ადგილი.

მე, საერთოდ, მწამს მხოლოდ ემოციური თეატრი, გაბედის თეატრი. ესეც იგი თეატრი, რომელშიც ყოველი აზრი ყველა ენერგიით გამოითქმება ძლიერი გრძნობების ენით, სხვაგვარი, ჩუმი აზრით, არც შეიძლება იყოს თეატრი.

რა თქმა უნდა, ხელოვნება უნდა ტკბილი იყოს, ეს სადავო არ არის. მე წინააღმდეგი ვარ იგი ხელოვნებისა. მიყვარს მქუხარე, ძლიერი გრძნობები, — ვერ ვიტან, როცა დახშული ხმით თამაშობენ. ვნახე მე ლოურენს ოლივიეც, პოლ სკოფილდიც და დასავლეთის ბევრი სხვა ცნობილი მსახიობიც. ვაღიარებ მათს ღირსებებს, მაგრამ მათ სული ვერ ამიღელვეს. მესმის, რომ პიტერ ბრუკიც ნიჭიერი რეჟისორია, მაგრამ მგონია, რომ ბევრად მოიგებდა მისი დასი ისეთი მსახიობები რომ ჰყავდეს, როგორიც იყვნენ ოლდრიჯი, კინი მჭექარე ხმებით, გრძნობათა უზარმაზარი ამპლიტუდით, შმაგი ტემპერამენტით. ბრუკის დასის ბევრი აქტიორი კი მიმეჩვალად თამაშობს, არ ხარჯავს არც ხმას, არც ტემპერამენტს, და, მაშასადამე, არც სულიერ ძალას. მათთვის უცხოა პათოსი, მაგრამ შექსპირის თამაში, მაგალითად, არ შეიძლება ისე, როგორც ინსენისა. მას თავისი შექსპირისეული პათოსი ახლავს.

შექსპირი სასწაულია, — ეს არის ის, რაც მონიჭებულია ზენაარით, და ჩვენ უფლება არა გვაქვს დავაცროთ მისი ძალა. მე მგონია თეატრი უბედური გახდება, თუ მას წაართმევთ მთავარ ელემენტებს, იმას, რითაც მდიდარია იგი — ემოციებს, ადამიანურ გრძნობებს...

არ მინდა, რომ ვინმემ კონსერვატორობა დამწამოს, სრულებითაც არა ვარ კონსერვატორი — მე ხალისით ვიღებ ყოველივე ახალს. მე, როგორც მოხუცი აქტიორი „ძველ ვოდევილებში“, განახლებას მოველი, სიხარულით მივეგებები ამას. მაგრამ მე მტკიცედ ვიცი ერთი რამ: — განახლება არ ნიშნავს თეატრის ემოციური ბუნების დაკარგვას, ყოველგვარი ხიბლი თუ არ იქნა ჭეშმარიტი გრძნობა — ფეიერვერკია, ცივი ცეცხლია.

— თქვენ გითამაშნიათ ერთსა და იგივე სპექტაკლში ასჯერ, ორასჯერ. და მეტჯერ. ასეთ დროს, მარტივად რომ ვთქვათ, შესრულება მექანიკური ხომ არ ხდება?

— არა და არა! ნამდვილი ხელოვანისათვის სცენური სახე არასოდეს არ გახდება მექანიკური, უსიცოცხლო, ბოლო პერიოდში, ყველაზე მეტად „ძველ ვოდევილებში“ მითამაშნია. ყოველი სპექტაკლის შემდეგ ახე მგონია, რომ დღეს რაღაც ახალი მივიღე, განვიცადე, შევიგრძენი, მეც გავმდიდრდი და ჩემი გმირებიც რაღაც ახალი შტრიხებით გავამდიდრე.

— რას იტყოდით მსახიობური ამბლუას განსაზღვრულობაზე. კარგია ეს თუ ცუდი?

— კარგს აქ ვერაფერს ვხედავ. მსახიობი მსახიობი უნდა იყოს, ტრაგედიაშიც უნდა თამაშობდეს და კოუედიაშიც.

— ამბობენ, რომ ტელევიზიამ მაყურებელი დაუკარგა თეატრს, რომ თეატრი ბოლოს და ბოლოს ვერ გაუმკლავდება კინოხელოვნებასთან მეტოქეობას. თქვენ რას იტყოდით?

— ტელევიზია ჩვენი საუკუნის საოცრებაა, ახდენილი ჯადოსნური ზღაპარია, ხოლო კინო—ფრიად მიმზიდველი ხელოვნება, პოპულარული, ძალიან მასობრივი. მაგრამ ვვრავენ დამარწმუნებს, რომ ან ერთმა; ან მეორემ, ანდა ორივემ ერთად, შეიძლება შეცვალოს, ბეჭებზე დადოს თეატრი. ამა ერთი თეატრის მიერ განვლილ გზას გახედეთ! ასე მგონია, ადამიანი და თეატრი ერთად დაიბადნენ... ისინი საუკუნეთა მანძილზე ერთად ყოფილან, ერთად არიან, და მათი გამქრელი არც რა მეგულება.

— თქვენ მონაწილეობთ ქართულ კინოფილმებში. ისეთებში, როგორიც არის „ბაქოელები“, „ქეთო და კოტე“, „ეთერის სიმღერა“, „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „დიდოსტატის მარჯვენა“, ასე რომ კარგად იცნობთ კინოხელოვნების სპეციფიკას. არის თუ არა რაიმე განსხვავება თეატრისა და კინოს მსახიობს შორის?

— პრინციპული განსხვავება მგონი არ არის. ერთი რამ კი ფაქტია: თეატრის მსახიობები უფრო ადვილად შედიან კინოში, უფრო ადვილად ეთვისებიან კინოობიექტივს, ვიდრე პირიქით.

— მარჯანიშვილი ამბობდა, რომ თეატრში მთავარია მსახიობი, რომ იგი სცენის მეუფეა. თქვენ რას იტყოდით?

— კოტე მარჯანიშვილი, როგორც რეჟისორი, თეატრის ჯადოქარი იყო, მაგრამ ჩემი დიდი მასწავლებლის აზრს თეატრში მსახიობის ადგილის თაობაზე, არ შემიძლია, რომ არ დავეთანხმო...

თეატრი ჩემი სიცოცხლეა, — გვითხრა ვასო გოძიაშვილმა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან უსასრულოდ შეიძლება ილაპარაკო სასცენო ხელოვნებაზე. სხვა დროს ამ სიამოვნებაზე უარს ამბა როგორ ეიტყოდი, მაგრამ ახლა შეეტაქვე, რომ საგრძნობლად დაიღალა. საუბრისათვის დიდი მადლობა მოვახსენე, მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე, მომავალ ინტერვიუს ოქვენგან თეატრში ავიღებ-მეთქი ეს ვუთხარი ბოლოს და გამოვემშვიდობე.

კეთილი, საოცრად კეთილი ღიმილით და მრავლისმეტყველი თვალებით გამომაცილა. მიედიოდი და ქართული პოეტური სიტყვის დიდოსტატის გიორგი ლეონიძის სიტყვებს ვიგონებდი. მაინც რა დიდებულად თქვა, როგორ ამომწურავად გამოხატა ფასი და ღირებულება ვასო გოძიაშვილისა:

„მე დიდად მიყვარს ნაღდი ნიჭი ვასო გოძიაშვილისა... ვასო გოძიაშვილი ბედნიერი ნიჭია, ხალხის წიაღიდან გამოსული. ვასო ქართული, ეროვნული ნიღაბია. ეს არის მასში მთავარი.

მე მიყვარს ვასო გოძიაშვილის ნიაღვარული ტემპერამენტი, მისი სცენური ბობოქრობა, მისი ღვედივით მოქნილი ტანის მეტყველი პლასტიკა, მისი ხმა, ხან მქუხარე და ხანაც ამრეშემივით სალუქი, მისი მართალი ტანჯვა და მხიარულება, განსაკუთრებით ქალაქური, დარდიმანდული...

ვასო ჩვენი სცენის დიდოსტატია — ჭეშმარიტი ხალხური ნიჭით დაჯილდოებული, მუდამ მშვილდივით მომართული და მუდამ მართალი, როგორც ტალანტი.

ვასო გოძიაშვილი პირდაპირი შემკვიდრეა ქართული სცენის დიდოსტატებისა და ეს მრავლისმომქმელია.

კიდევ დიდხანს დაგვატკბოს ჩვენმა საყვარელმა ვასომ. არ მაჯკარებოდეს სიბერე მის ცეცხლოვან ნიჭს!“.

სჯობს, რომ ამჯერად აქ დავსვათ წერტილი. ჩემი წერილი-დიალოგის ამაზე უკეთეს დასასრულს ამა სად ვიპოვნიდი.

ლერი კიკნაძე.



ზურათებზე: ვასო გოძიაშვილი როლებში, მარცხნიდან — ახმა (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ლუარსაბ თათქარიძე (ი. ბავშვაძის „კაცია ადამიანი?!“), რიჩარდი (უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“).

საზღვაო ჟიშკართან

ბათუმს სამართლიანად უწოდებენ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ საზღვაო ჭიშკარს. აქ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გემი უშვებს ღუზას...

ამ დღეებში ნავსადგურს ეწვია თანამედროვე კომფორტული სამგზავრო ლაინერი „ოდესა“ (სურათზე).

ვ. ბაბაიანის ფოტო.

ახალი ამბები

□ **ახალი** კარიერი წელიწადში 20 ათასი კუბური მეტრი ალფი და პრაქტიკული სამენი მასალის — ტრავერტინის მოსპოვებლად აშენდება მესტიის რაიონში. მის დაპროექტებას შეუდგენენ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროს თანამშრომლები.

□ **დამთავრდა** რეკონსტრუქცია სოხუმის ხორკომბინატის ტყვარჩელის საძეხვე საამქროსი. აქ დადგმულია მძლავრი სამაცივრო საკნები, შესაბლი დანადგარები და ორთქლსახარში. ახლა დღე-ღამეში უშვებენ 5-6 ტონა სხვადასხვა ძეხვეულს, რაც ექვსჯერ მეტია, ვიდრე რეკონსტრუქციამდე იყო.

აკვინდი

გუშინ, 14 იანვარს, დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში ყველგან წვიმდა, სამგრეფიასა და ქუთაისში თოვლმყაბი იყო, მთებში თოვდა. ხაშურში, ცხინვალში, ბორჯომში, ახალციხეში ყაზბეგში, ფასანაურში უზვად ბარდნიდა. დანარჩენ რაიონებსა და კახეთში უნალექო ამინდი იდგა.

13 საათისთვის თბილისში, წითელწყაროში, ორამბრეში იყო 4 გრადუსი სითბო, გაგრაში — 5, ბათუმში, თელავში, ყვარელში — 6, ანასეულში — 7, ფოთში — 8, ქობულეთში — 9, ყვარელში — 10 გრადუსი სითბო. გორში, ცხინვალში აღინიშნა ერთი გრადუსი ყინვა, ხაშურში, ბაზისაროში, — 4, მესგიაში 8 გრასუდი ყინვა.

ჭადრაკი

ჰასტინგსის საერთაშორისო

12 ტურიდ გათამაშდა ჰასტინგსის საახალწლო ტურნირზე. დაწინაურდა ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ვ. ჰორტი, რომელმაც ამჯერად ინგლისელი დ. ნანი დამარცხა და 8,5 ქულა მოაგროვა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ვ. ულმანი (გდრ). მან გადადო შეხვედრა ამერიკელ ჰ. კაპლანთან. 78-ე სვლაზე დამთავრდა დ. ბრონშტეინისა და ვ. კორჩნოის მე-11 ტურის გადადებული პარტია, გაიმარჯვა დ. ბრონშტეინმა. მე-12 ტურში კი მან ყაიმი გააკეთა ინგლისელ მ. სტეფანთან და 8 ქულით მესამე ადგილზეა.

მოსწავლეთა საკავშირო

ბუშინ გაიმართა მორიგი, მეშვიდე ტურის პარტიები. ჩიბურდანიძემ ჩინებულად ითამაშა საბჭოთა კავშირის შარშანდელ ჩემპიონ რუჩიევასთან (მოსკოვი) და მოიგო. ამრიგად, მაია კვლავ ლიდერობს შესანიშნავი შედეგით — 6 ქულით 7 შესაძლებლიდან. 5,5 ქულა აქვს ეიდელსონს (ბელორუსია) და პოლნარიოვას (რუსეთის ფედერაცია).

ჭაბუკთა შორის კვლავინდებურად პირველ ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი გაბდარაკმანოვი (რუსეთის ფედერაცია). მას 7 თამაშიდან 6 ქულა აქვს. 5,5 ქულა მოაგროვა ოსტატობის კანდიდატმა კასპაროვმა (აზერბაიჯანი), 5 ქულა — საქართველოს ჩემპიონმა სტურუამ, რომელიც კვლავ ინარჩუნებს პირველი ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობებს.

ფეხბურთი

მეტოქეები ცნობილი არიან

კვლავ ფილიპარა, კვლავ ფეხბურთი

ჟენევა, 14 იანვარი. (საკ.დისკორ.). **სსრ კავშირის** ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ ფეხბურთელ ფინალურ მატჩში 24 ან 25 აპრილს მეტოქის მოედანზე შეხვდებიან **ჩეხოსლოვაკიის** გუნდს. ეს „გადაწყვეტა“ ევროპის ფეხბურთელთა ასპარეზობის წილისყრამ, რომელიც დღეს გაიმართა ცეურიხში. საპასუხო შეხვედრა 22 ან 23 მაისს მოეწყობა სსრ კავშირში.

ამავე ვადებში შეხვდებიან ერთმანეთს ჰოლანდიისა და ბელგიის, ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ან საბერძნეთის, იუგოსლავიისა და უელსის ნაკრები გუნდები.

ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის წყვილის გამარჯვებული ნახევარფინალში შეხვდება ჰოლანდია-ბელგიის მატჩის გამარჯვებულს.

ევროპის ჩემპიონთა თასის ყოთამაშების მეოთხეფინალში **კიეველ** დინამოელთა მეტოქე იქნება საფრანგეთის „სენტ-ეტიენის“ კლუბი. პირველი მატჩი 3 **მარტს** გაიმართება დინამოელთა მოედანზე. საპასუხო — 17 მარტს. ამ ტურნირის ფინალურ ნწყვილები ირიან: „ბეფიკა“ (პორტუგალია) — „ბავარია“ (მიუნხენი, გფრ), „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია)-„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია), „ბორუსიია“ (ფენენგლბახი, გფრ)-„რეალ-მადრიდი“ (ესპანეთი).

ევროპის ჩემპიონატის მეოთხეფინალში ახალგაზრდულ გუნდებს (23 წლამდე) შორის საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდებიან ფრანგ ფეხბურთელებს (პირველი შეხვედრა — საფრანგეთში).

გუშინ...

გუშინ თბილისის სპორტის სასახლის ტრიბუნები კვლავ ფეხბურთის მოყვარულმა ავსო.

ტურნირის მეორე დღეს პირველად მოედანზე გამოვიდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და ბაქოს „ნეფტჩი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელები. ძველი მეტოქეების ეს შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 13:4 დინამოელთა სასარგებლოდ. მატჩის გმირი იყო თბილისელი ზ. წერეთელი, რომელმაც მეტოქის კარში ექვსი ბურთი გიგანა.

• • •

ზურათზე: ქუთაისის „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრის მომენტი.

მ. ზარბარიანის ფოტო.

ქართული ეტიუდის აღვარეგა

წიგნის თარო

ბიბვინოვში, გაფრინდაშვილ-ალექსანდრიას მატჩის დრს, პრესკონფერენციაზე ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, თუ რი უნდა აიხსნას ჭადრაკის მთელი სამყაროს გაოცების გამომწვევი ფენომენი — ის, რომ საქართველოში გაჩნდა ქალთა ჭადრაკის სკოლა. საუბრის დრს ერთმა კაცმა გამოთქვა ძალიან მარტივი, მაგრამ, ჩემი აზრით, სწორი მოსაზრება. მან თქვა: რუსეთში რომ გამოჩნდა მსოფლიოს ჩემპიონი ქალი, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი და ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკე ქალთა მთელი ჯგუფი, ამის ერთ-ერთი თავაური მბზეი, ყოველივე სხვას გარდა, ის არის, რომ საქართველოში იშვიათად ხელსაყრელი კლიმატია ჭადრაკის ხელოვნების გაფურჩქვნისთვის.

ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ვკითხულობდი გ. ნადარეიშვილის წიგნს „ჭადრაკის ეტიუდი საქართველოში“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა ჭადრაკის კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესის დაწყების წინ, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა, რაც დაუკავშრდა ფიდესთან შექმნილი კომპოზიციის მუდმივი კომისიის XVIII სხდომას. კრებული ქართველ ჭადრაკის კომპოზიტორთა რჩეული ნაწარმოებებისა, აგრეთვე საუკეთესო ეტიუდებისა, რომლებმაც პრიზები მოიპოვეს საქართველოს კონკურსებზე, გვიხატავს საქართველოში ეტიუდის შედარებით ნაკლებად ხანგრძლივ, მაგრამ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მიღწევებით აღნიშნულ ისტორიას. სხვადასხვა გაზეთების მიერ ჩატარებული ათობით საკავშირო, აგრეთვე საერთაშორისო კონკურსი, რომლებზეც სპეციალური წაბალისება ეძლეოდა ქართველი ეტიუდისტების ნაწარმოებებს, ეტიუდების პუბლიკაცია პერიოდულ პრესაში, საჭადრაკო ალმანახ „ჭადრაკის“ კომპოზიციის განყოფილებით, ეტიუდებისადმი მიძღვნილი წიგნების გაჯეროვება — ყოველივე ამან კასნნზოგიერად გამოიწვია არა მარტო გამოჩენა ნიჭიერ ეტიუდისტთა ძველი პლეადისა, არამედ, როგორც განსაცდადა კონგრესის სხდომაზე მ. მ. ბოტვინიკმა, საეტიუდო კომპოზიციის ორიგინალური სკოლის შექმნაც.

ამ სკოლამ თავი გამოიჩინა არა მარტო ნიჭიერ ეტიუდისტთა ბევრი სახელით, არამედ განსაკუთრებული სტილით და განსაკუთრებული შემოქმედებითი ხასიათითაც: ამ ხასიათის განმასხვავებელი ნიშნებია, ერთი მხრივ, რომანტიკულობა, მეორე მხრივ, გამომსახატველობითი საშუალებების სიმკაცრე, ლაკონიურობა. ეს თავისებური შეხამება, რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, საერთოდ შეესაბამება ქართული ხელოვნების სულს, რომელსაც ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ვ. ბერიძის სიტყვით, ახასიათებს შინაგანი თავშეკავებულობა გამოხატვისას, აღნაგობის სიმკაცრე, მკაფიობა.

როგორც აღნიშნავს შესავალ „სიტყვაში ქართული ეტიუდის შესახებ“ ვ. ნეიძე, „ქართველ ეტიუდისტთა ნაწარმოებებს დამახასიათებელი ნიშანია — და ეს უთუოდ საბჭოთა საეტიუდო სკოლის საუკეთესო ტრადიციებიდან მოდის — ...ფინალუფურჩქვნას ხელოვნების ამ არაჩვეულებრივად წარმტაც და რთულ ჟანრში.

მეორე, წიგნში მოცემულია რესპუბლიკის ყველაზე ნიჭიერ ეტიუდისტთა არსებითად შემოქმედებითი პორტრეტები. აქ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა უდიდესი უმრავლესობა წარჩინებით აღინიშნა სხვადასხვა, მათ შორის საერთაშორისო კონკურსებშიც.

ახლა კი როგორც ქართული ეტიუდის თავისებურების დამახასიათებელს, მოვიყვან გ. ნადარეიშვილის შედეგს, რომელმაც 1972 წელს პირველი პრიზი მიიღო კონკურსზე „საქართველო-50“. მისი ჭადრაკის ერთ-ერთი საუკეთესო თამაშედეგია კომპოზიტორი, საქართველოს საეტიუდო ხელოვნების ფუძემდებელი, რომელიც აქვე უნდა ვთქვათ — უკანასკნელ კონგრესზე არჩეულია საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კომპოზიტორთა მუდმივი კომისიის ექსპერტად. მისი შემოქმედების გაეცნეს ამა თუ იმ ზომით თითქმის ყველა ქართველმა კომპოზიტორმა განიცადა.

ნადარეიშვილმა შექმნა ორასზე მეტი ეტიუდი, რომელთაგან ბევრმა მიიღო პრიზები. მან უარყოფა ბევრი რამ გააკეთა საქართველოში კომპოზიციის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის, თავის შემოქმედებაში ყველაზე მკაფიოდ განასახიერა ქართული ეტიუდისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ბევრი მისი ნაწარმოები, მათ შორის ქვემოთ მოყვანილიც წარმოადგენს პრაქტიკული პარტიების თითქმის დაბოლოებებს. გ. ნეიძის სამართლიანი აზრით ნადარეიშვილის მხატვრული კრედოა ბუნებრივი ნიჭისა ზიარება, აგრეთვე, დავძენთ ჩვენ, მაქსიმალური ეკონომიურობისადმი მისწრაფება. შემთხვევითი როდია, რომ თვალ ნიგბა ეტიუდებმა, განსაკუთრებით მინიატურებმა, მსოფლიოს ეშესრულებლ ეტიუდებ.

ეს ეტიუდი ნაწილში მოყვანილია ნაწარმოებები, რომლებიც წარჩინებით აღინიშნა საქართველოს მნიშვნელოვან კონკურსებზე. აქ გამოქვეყნებულ ბრწყინვალედ წარმოდგენილი არიან საუკეთესო საბჭოთა, აგრეთვე საზღვარგარეთელი კომპოზიტორები. მე შემთხვევით რიდი ეუწოდე საქართველოს კონკურსებს მნიშვნელოვანი, მათ ფასდაუდებელი როლი შეასრულეს საეტიუდო კომპოზიციის პოპულარიზაციაში არა მარტო საქართველოსა და სსრ კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ეს კონკურსები ერთი მხრივ მოწმობდნენ იმას, რომ საქართველო ხდება საეტიუდო კომპოზიციის ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი, ხოლო მეორე მხრივ ხელს უწყობდნენ ტალანტების გა-



ყაიმი

1. კc4 ეc5! 2. კg8!! მფb1 3. ეb8 ეc1+ 4. მფd2 ეc2+ 5. მფd1 a1 ,ლ 6. ე:b4+ ეb2 7. ეc4! ეc2 8. ეb4+ ეb2 9. ეc4 და პოზიციური ყაიმია.

კონკურსის მთავარი მსაჯის ფ. ბონდარენკოს აზრით „ავტორმა ბრწყინვალე მინიატიურული ფორმა გამონახა ესოდენ რთული ჩანაფიქრის გამოსახატავად“.

ჩინებულად, როგორც იტყვიან, მსოფლიო სტანდარტების დონეზე გამოცემული წიგნი „ჭადრაკის“ ეტიუდი საქართველოში“ თავისებური „აელვარებაა“. წიგნი არა მარტო ცოცხლად მოგვითხრობს რესპუბლიკის ჭადრაკის კომპოზიტორთა მასანაშრომ მიღწევებზე, არამედ უშეველად სტიმულიც გახდება ქართველ ეტიუდისტთა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებებისათვის.

ვიქ. ვასილიევი.



კონკურსი

ანდრია რაზმაძის სახელოვნის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს ა. რაზმაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. ა. რაზმაძის სახელობის პრემია 2500 მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 ივლისის № 469 დადგენილებით და მიენიჭება 3 წელიწადში ერთხელ საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის მათემატიკის მეცნიერებათა დარგში. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სს რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ, სამეცნიერო-პედაგოგიურ ან სხვა დაწესებულებაში გეგმით ან გეგმის გარეშე, ან ცალკეულ პირთა მიერ. საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება გამონაკლისის სახით წარმოდგენილ იქნას აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შესრულებული ნაშრომი.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნას ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიეცემა ხელმძღვანელებს და ძირითად ავტორებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია და საექსპერტო კომისია. პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის დაუშვებელია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული შრომები, მაგრამ გამოცემული ორაუგეანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომები, რომლებსაც მიენიჭა ლენინური პრემია, სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების და დარგობრივი აკადემიების პრემიები, ანდრია რაზმაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება. ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო საზოგადოების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან ცალკეული პირების მიერ.

იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებმაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, უნდა წარმოადგინონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შემდეგი მასალა:

1. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის;
2. საკონკურსო გამოქვეყნებული ნაშრომი სამ ცალად;
3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);
4. ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ლენინური, სახელმწიფო ან სხვა პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში განცხადების გამოქვეყნებიდან, უნდა გამოიგზავნოს მისამართით:

თბილისი 4, ძერჟინსკის ქ. № 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „ა. რაზმაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“.

პრემიის მინიჭება მოხდება 1976 წლის ივლისში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ტელევიზია

15 იანვარი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — VIII კლასელთათვის — ფიზიკა, 11.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თუშეთის ფერები“, 11.15 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კოლხური ბალადა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.35 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი ეტიუდი დიდებულ ანზე“, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ნახატი ფილმები, 18.45 — „ყრილობის დელეგატი“, 19.00 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“, 19.30 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 20.00 — „ჩვენი კომენტარი,“ 20.15 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „დანაშაული არ მოხდებოდა, რომ..“, 21.00— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30—კონცერტი, 22.00— „ეკრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — რუსული სკოლების III კლასელთათვის — ქართული ენა, 18.35 — კინონარკვევი „იყავ ბედნიერი, ადამიანო!“, 18.55 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 19.40—დოკუმენტური ფილმი „ლასკალა მოსკოვმა“, 20.20 — კონცერტი.

16 იანვარი

პირველი პროგრამით

06.35 — მ. ბალანჩივაძე — ნაწყვეტები ოპერიდან „თამარ ცბიერი“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე. (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — დ. კაბალევსკი — ნაწყვეტები ოპერიდან „კოლა ბრუნიონი“, 11.45 — საუბარი „საბჭოთა მოქალაქის ახალი პასპორტი“, 12.15 მღერის ანსამბლი „გორდელა“, 12.25—„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ხალხური ლექსები, 12.30 — ქართველ კომპოზიტორთა კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — მ. მირზოევი — საორკესტრო პიესები, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — მღერის ს. შამი, 17.40 — მოსწავლეთათვის — ნარკვევი — „მერვეკლასელები“, 18.05 — კონცერტი ი. ტუსკიას ნაწარმოებებიდან, 18.45 — ი. კოროლიოვი — სუიტა საესტრადო ორკესტრისათვის, 19.00 „მოგითხრობთ ყრილობის დელეგ